სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/82

ქ. თბილისი 6 ივნისი 2023 წ.

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ქრისტიანული ანთროპოლოგიის და ფსიქოლოგიური სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 6 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიქმნას სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ქრისტიანული ანთროპოლოგიის და ფსიქოლოგიური სამეცნიერო ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი);

2. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი). საკითხს გაიტანს რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი ზურაბ გასიტაშვილი;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე